განკარგულება - N 18.1120.1557
26 / დეკემბერი / 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „კომუნალური სუბსიდირების '' ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 01) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „კომუნალური სუბსიდირების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 01) განხორციელების წესი", ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „კომუნალური სუბსიდირების'' ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 01) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 დეკემბრის N48.35.992 განკარგულება.

3. ეს განკარგულება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს სოფიო ხუნწარიას.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „კომუნალური სუბსიდირების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 01) განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „კომუნალური სუბსიდირების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 01) განხორციელების წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „კომუნალური სუბსიდირების“ (კოდი: 06 02 01) ქვეპროგრამის (შემდგომში - ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომლებზედაც თანხები გამოიყოფა ქვეპროგრამაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (შემდგომში - ქვეპროგრამის განმახორციელებელი).

მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მოცულობა

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის“ (შემდგომში - მონაცემთა ბაზა) მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000 და მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული აბონენტის ნომერი, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მომსახურე კომპანიების ბაზაში ფიქსირდება როგორც საყოფაცხოვრებო სექტორის აბონენტი/მომხმარებელი.

2. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა განისაზღვროს თვეში არაუმეტეს 106 (ასექვსი) ლარით, ხოლო სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000-ზე და არ აღემატება 200 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა განისაზღვროს თვეში არაუმეტეს 20 (ოცი) ლარით, შემდეგი გამოთვლის მეთოდით:

ა) დასუფთავების მოსაკრებელზე:

ა.ა) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ერთი პირი 2.5 ლარის ოდენობით;

ა.ბ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ორი პირი 5 ლარის ოდენობით;

ა.გ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია სამი პირი 7,5 ლარის ოდენობით;

ა.დ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ოთხი და მეტი პირი 10 ლარის ოდენობით;

ბ) წყლის გადასახადზე 3,89 ლარის ოდენობით;

გ) ელექტროენერგიაზე, აბონენტის მიერ, ფაქტიურად მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების შესაბამისად;

3. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სუბსიდია, ჯამური ლიმიტის ფარგლებში, დაირიცხება შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

ა) I - დასუფთავების მოსაკრებელი; II - წყლის გადასახადი; III - ელექტროენერგიის გადასახადი;

ბ) ამავე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბსიდიის დარიცხვა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც მომსახურე კომპანიები განახორციელებენ "მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის N517 დადგენილებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის შეღავათის დარიცხვას.

4. სუბსიდია დაირიცხება ხუთი თვის განმავლობაში, 2019 წლის იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში და დეკემბერში, სუბსიიდიის გაცემის თვის წინა თვის 20 რიცხვის მდგომარეობით მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე. სუბსიდია გაიცემა სუბსიდიის გაცემის თვის წინა თვის დარიცხული გადასახადის (კომუნალური მოსაკრებლის) თანადაფინანსებისათვის.

მუხლი 3. ქვეპროგრამაში ჩართვა

1. მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაცია, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ მიეწოდება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მომსახურე კომპანიებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, აბონენტის ნომერზე თვეში დარიცხული წყლის გადასახადის, დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობისა და დარიცხული ელექტროენერგიის ღირებულების დაანგარიშება და ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად აბონენტის ნომერზე სუბსიდიის ასახვა.

2. იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა ბაზაში არ არის დაფიქსირებული აბონენტის ნომერი, ოჯახის მონაცემები არ მიეწოდება მომსახურე კომპანიებს.

3. სუბსიდიის ოდენობის გაანგარიშება და თანხის ანაზღაურება ხორციელდება ამ წესის და ქვეპროგრამის განმახორციელებელსა და მომსახურე კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. მომსახურე კომპანიები უზრუნველყოფენ ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას.

მუხლი 4. ანგარიშგება

1. დასუფთავების მოსაკრებელზე, წყლის და ელექტროენერგიის გადასახადზე სათანადო ასიგნებებიდან ანაზღაურება განხორციელდება ქვეპროგრამის განმახორციელებელსა და სს „თელასს" (ს/კ202052580), სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" (ს/კ205169066) , შპს „თბილსერვის ჯგუფს"(ს/კ 206267494), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსს" (ს/კ 203826002) (შემდგომში - მომსახურე კომპანიები) შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, მომსახურე კომპანიებისათვის სათანადო თანხების ჩარიცხვას, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ მომსახურე კომპანიებთან

გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მის მიერვე წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, წარდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.